



შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესი

დამტკიცებულია 08.02,2024 წელს, რექტორის ბრძანება N01-01/11

სარჩევი

მუხლი 1 რეგულირების საგანი	3
მუხლი 2 ატესტაციას დაქვემდებარებული პირები	3
მუხლი 3 ატესტაციის არსი და მიზნები	3
მუხლი 4 ატესტაციის პრინციპები	3
მუხლი 5 ატესტაციის ჩატარების დრო	4
მუხლი 6 საატესტაციო კომისია	4
მუხლი 7 ინტერესთა კონფლიქტი, აცილება	4
მუხლი 8 ატესტაციის პროცესი	5
მუხლი 9 საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი	5
მუხლი 10 ატესტაციის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაცია	6
მუხლი 11 გადაწყვეტილების მიღება	6
მუხლი 12 სააპელაციო კომისია	6
მუხლი 13 დასკვნითი დებულებები	7
დანართი N1 საატესტაციო ანგარიში	8

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ ატესტაციის წესი

მუხლი 1 რეგულირების საგანი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ატესტაციის წესი აწესრიგებს ამავე წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის დაკავებულ აკადემიურ თანამდებობასთან/შესასრულებელ აკადემიურ საქმიანობასთან, მათი კვალიფიკაციის, აკადემიური/სამეცნიერო/პროფესიული შესაბამისობის დადგენის კრიტერიუმებსა და პროცედურებს.

მუხლი 2 ატესტაციას დაქვემდებარებული პირები

1. უნივერსიტეტში უვადოდ არჩეული პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას;
2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით, შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, პროფესორი ატესტაციას გადის მომდევნო წელს.

მუხლი 3 ატესტაციის არსი და მიზნები

1. ატესტაცია არის უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურა, რომლის ფარგლებში ღგინდება ატესტაციას დაქვემდებარებული პირის (პროფესორის) აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის და პროფესიული მიღწევების დაკავებულ აკადემიურ თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. ატესტაციის მიზნებია:

ა. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის აკადემიური/საქმიანობის და პროფესიულ მიღწევების შეფასება და მათი შესაბამისობის დადგენა პირის მიერ დაკავებულ აკადემიურ თანამდებობასთან;

ბ. პროფესორის მიერ საატესტაციო პერიოდში წარმოებული პროფესიული საქმიანობის შეფასება;

გ. პროფესორის კვალიფიკაციის დონის გამოყენების შესაძლო პერსპექტივების იდენტიფიცირება;

დ. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება;

ე. აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესის წახალისება.

მუხლი 4 ატესტაციის პრინციპები

1. ატესტაციის პროცესი ემყარება შემდეგ პრინციპებსა და ზოგად სამართლებრივ ფასეულობებს:

- სამართლიანობა;
- გამჭვირვალობა;
- ობიექტურობა;
- კოლეგიალობა;
- თანასწორობა;
- ეთიკურობა.

მუხლი 5 ატესტაციის ჩატარების დრო

1. ატესტაციის დროსა და ვადებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით;
2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას ადგენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
3. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება:
 - ა. ატესტაციის გრაფიკი;
 - ბ. ატესტაციის პროცედურა და პირობები;
 - გ. ატესტაციას დაქვემდებარებული პირების სია;

- დ. საატესტაციო კომისიის შემადგენლობა;
4. პირს რომელიც ექვემდებარება ატესტაციას, არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის მიწოდების გზით უნდა ეცნობოს ატესტაციის შესახებ. ინფორმაციის გაგზავნაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

მუხლი 6 საატესტაციო კომისია

1. ატესტაციის მიზნისთვის რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია;
2. საატესტაციო კომისია უზრუნველყოფს ატესტაციის პროცესის ჩატარებას;
3. საატესტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას გაითვალისწინება ატესტაციის დაქვემდებარებულ პირთა პროფილი და სპეციალიზაცია. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები ისე მოწვეული პირები;
4. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი რომელიც თავად გადის ატესტაციას.

მუხლი 7 ინტერესთა კონფლიქტი, აცილება

1. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრსა და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს შორის არის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ატესტაციის ფარგლებში პირის ობიექტურ შეფასებაზე, კომისიის წევრი ექვემდებარება აცილებას. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულებად შესაძლოა ჩაითვალოს:
 - ნათესაური კავშირი კომისიის წევრსა და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს შორის;
 - ახლო სამსახურებრივი კავშირი კომისიის წევრსა და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს შორის;
 - სხვა ნებისმიერი ტიპის კავშირი/ფაქტი/გარემოება, რომელმაც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ შესაძლოა გავლენა იქონიოს ატესტაციის შედეგის ობიექტურობაზე.
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს თვითაცილებას და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამჟღავნდება ატესტაციის პროცესში კომისიის წევრის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას კომისია ვალდებულია უზრუნველყოს პირის აცილება.
3. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს არგუმენტირებული მოთხოვნა პირის აცილების შესახებ, გადაწყვეტილებას კომისია იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.
4. კომისიის წევრის აცილების შემთხვევაში, რექტორი უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების გამოცემით კომისიის შემადგენლობის ცვლილებას.

მუხლი 8 ატესტაციის პროცესი

1. პირი რომელიც ამ წესის შესაბამისად ექვემდებარება ატესტაციას უფლებამოსილია ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
2. ატესტაციის პროცესის ტექნიკურ კოორდინირებას უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
3. ატესტაცია შესაძლოა ჩატარდეს დოკუმენტაციის შესწავლით ან/და გასაუბრებით. ატესტაციის ფორმატის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია;
4. თუ ატესტაციას დაქვემდებარებული პირი, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მიწოდებას ან/და არ გამოცხადდება გასაუბრებაზე, კომისია იღებს გადაწყვეტილებას პირის დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის შესახებ.

მუხლი 9 საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი

- 1.კომისიის სხდომებს უძღვება და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. ეს უკანასკნელი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
- 2.კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ამ უკანასკნელს კომისიის შემადგენლობიდან განსაზღვრავს რექტორი ბრძანებით. მდივნის უფლებამოსილება ასევე შესაძლოა შეასრულოს უნივერსიტეტის თანამშრომელმა ხმის უფლების გარეშე;
- 3.იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრს აქვს განსხვავებული აზრი, ის უფლებამოსილია ოქმს დაურთოს მისი არგუმენტირებული, განსხვავებული პოზიცია. ამის თაობაზე ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;
- 4.ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს გასაუბრებაზე იწვევს საატესტაციო კომისია, გასაუბრება ასევე ფორმდება ოქმის სახით;
5. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს კომისია აფასებს ამ წესის დანართით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 10 ატესტაციის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტები

- 1.ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს წინამდებარე წესის დანართით გათვალისწინებული, შევსებული საატესტაციო ანგარიში და ანგარიშში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- 2.ატესტაციის ფარგლებში ფასდება მხოლოდ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე შესრულებული აქტივობები;
3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარედგინება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

მუხლი 11 გადაწყვეტილების მიღება

- 1.ატესტაციის ფარგლებში, კომისია აფასებს პროფესორს წინამდებარე წესის დანართით განსაზღვრული შევსებული საატესტაციო ანგარიშის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამატებით დანიშნოს გასაუბრება პირთან და გამოითხოვოს პირისაგან დამატებითი ინფორმაცია. კომისია ასევე უფლებამოსილია გაესაუბროს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის უშუალო ხელმძღვანელებს;
- 2.კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები;
3. ატესტაციის ფარგლებში საატესტაციო კომისია ადგენს დასკვნას, რომელიც შეიძლება იყოს შემდეგი შინაარსის:
 - ა.პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (იმ შემთხვევაში თუ საატესტაციო ანგარიშის შეფასების შედეგად პირი დააგროვებს არანაკლებ 200 ქულას) ან
 - ბ. პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (იმ შემთხვევაში თუ საატესტაციო ანგარიშის შეფასების შედეგად პირი ვერ დააგროვებს 200 ქულას).
- 4.ატესტაციის შედეგებს კომისია ატყობინებს უნივერსიტეტის რექტორს დასკვნის გაფორმებიდან არა უგვიანეს 2 კალენდარული დღის ვადაში.

5.თუ კომისიის დასკვნით პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. სხვა შემთხვევაში ატესტაციის შედეგი აისახება პირად საქმეში;

6.ატესტაციის შედეგები ძალაში შედის შესაბამისი, მიმდინარე სემესტრში შესაბამისი სასწავლო კურსის დასრულებისთანავე ან კომისიის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში.

მუხლი 12 სააპელაციო კომისია

- 1.პროფესორი უფლებამოსილია მიმართოს სააპელაციო კომისიას ატესტაციის თაობაზე გადაწყვეტილების გაცნობიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. მიმართვა ხდება წერილობითი ფორმით და სააპელაციო კომისია საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 1.ატესტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით რექტორის ბრძანებით ასევე იქმნება სააპელაციო კომისია;
- 2.სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი რომელიც ირიცხება საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში;
3. სააპელაციო კომისიას ყავს თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ ერთი წევრი;
- 4.სააპელაციო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა;
6. სააპელაციო კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის ფორმით რომელსაც ხელს აწერს მისი ყველა წევრი. კომისიის წევრი რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას უფლებამოსილია მისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს.
- 7.აპელაციის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოაწყოს ზეპირი განხილვა და განხილვაში ჩართოს დაინტერესებული პირები.
8. პროფესორი უფლებამოსილია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მათ შორის პროფესორი უფლებამოსილია სააპელაციო კომისიისადმი მიმართვის გარეშე საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 13 დასკვნითი დებულებები

- 1.წინამდებარე წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
2. წესი ძალაშია რექტორის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

დანართი N1
საატესტაციო ანგარიშის ფორმა

საატესტაციო ანგარიში				
სახელი, გვარი				
სკოლა, მიმართულება				
სამეცნირო აქტივობა	აქტივობის აღწერა	მტკიცებულება	ქულა	შეფასება
საზღვარგარეთ გამოცემული მონოგრაფია/სახელმძღვანელო			50	
სტატია იმპაქტ-ფაქტორის ან ციტირების ქულის მქონე (Scopus) უცხოურ საერთაშორისო ჟურნალში			40	
სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში , რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex			20	
გამოგონება/პატენტი (რეგისტრირებული საერთაშორისო ბაზაში)			50	

საერთაშორისო კვლევითი გრანტის ხელმძღვანელობა			10	
საერთაშორისო სამეცნიერო სემინარზე/სიმპოზიუმზე/კონფერენციაზე/კონგრესზე მოხსენების გაკეთება.			5	
საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედ.კოლეგიის წევრობა			5	
სტატია საერთაშორისო(Peer-reviewed) სტატიათა კრებულში			10	
სტატია საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებულში			10	
საერთაშორისო კონფერენციის მასალების სამეცნიერო რედაქტირება			3	
საერთაშორისო ჟურნალში რეფერირებადი სტატიისათვის რეცენზენტობა, peer-review გაკეთება			3	
უნივერსიტეტის შიდა ადმინისტრაციულ/აკადემიურ პროცესებში მონაწილეობა: <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა (15 ქულა) • ეთიკის კომისიის წევრობა (5 ქულა); • აკადემიური კონკურსის კომისიის წევრობა (10 ქულა); • კოლეგიალურ თვითშეფასებაში მონაწილეობა (5 ქულა); • შიდა საუნივერსიტეტი, საგრანტო პროექტში მონაწილეობა (15 ქულა) • საბაკალავრო/სამაგისტრო/საკონფერენციო ნაშრომის ხელმძღვანელობა (5 ქულა) • სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტობა (5 ქულა). 			5-15 ქულა	
ქულათა ჯამი:				

